

10/10



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1014 2016 წლის 6 ივნისი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან
საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „მარსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ნოემბრის №2548 განკარგულებით გათვალისწინებული ასანთის ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასანთის მწარმოებელ საწარმომდე გაზისა და ელექტროენერჯის მიყვანასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს გამოუყოს 280 000 (ორას ოთხმოცი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1342 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) „ვარდნილჰეს 1“-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდებოდა ევროპის საინვესტიციო ბანკისა და ევროკომისიის მიერ 2010-2011 წლებში გამოყოფილი 24 000 000 (ოცდაოთხი მილიონი) ევროს ფარგლებში;

ბ) „ვარდნილჰეს 1“-ის კაშხალსა და წყალსატარ კონსტრუქციებზე ტექნიკური უსაფრთხოების შესაბამისი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასასრულებლად დამატებით საჭიროა 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ევრომდე, რომლის თაობაზეც მოლაპარაკებები მიმდინარეობს ევროპის საინვესტიციო ბანკთან;

გ) მიმდინარე წლის 16-17 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად დაზიანდა „ვარდნილჰეს 1“-ის კაშხლის სიღრმული წყალსაშვი.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული დონორი ორგანიზაციიდან დაფინანსების მიღებამდე, ამავე პუნქტით

გათვალისწინებული დონისძიებების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილი წესით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გამოუყოს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი, შპს „ენგურჰესისათვის“ სესხის გაცემის მიზნით, შემდეგი პირობებით:

ა) სესხი გაიცეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გარეშე;

ბ) სესხით სარგებლობის წლიური განაკვეთი განისაზღვროს ნული პროცენტით;

გ) სესხით სარგებლობის ვადა განისაზღვროს არა უგვიანეს 2016 წლის პირველი დეკემბრისა.

3. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი